Alma™
For You. For Life.

# **Soprano** Titanium

ულტრათანამედროვე | საოცრად მაღალტექნოლოგიური |
ყველაზე ინოვაციური!

## ახალი ხედვა **ლაზერულ ეპილაციაში!**



WWW.SANSO.GE | WWW.SOPRANO.GE



# წარმოგიდგენთ **Soprano** Titanium-ს

ინოვაციას ლაზერული ეპილაციის სფეროში. იგი აერთიანებს ფუნქციონალურ შესაძლებლობებს განუმეორებელ კომფორტთან. 4სმ² დაფარვის არეალით, გაზრდილი სიმძლავრით და მოწინავე გამაგრილებელი სისტემის მეშვეობით, ის მოქმედებს გაცილებით სწრაფად და უმტკივნეულოდ. პაციენტებს და სპეციალისტებს კი სთავაზობს არსებითად გაუმჯობესებულ გადაწყეტილებას. Soprano Titanium-ი ახდენს სამი მძლავრი ლაზერული ტალღის (ალექსანდრიტი | დიოდი | ნეოდიუმი) კომბინაციას, შედეგად პაციენტებს სთავაზობს სამივე სხივის შედეგს ერთ პროცედურაში.

თანამედროვე, ბიზნესზე ორიენტირებული მიდგომით, ჩვენ გთავაზობთ უნიკალურ და შედეგზე ორიენტირებულ გადაწყვეტილებას, რომელიც სრულიად შეცვლის არსებულ ხედვას ლაზერული ეპილაციის სამყაროში!

## **Titanium** სისტემის უპირატესობები!

### გამორჩეულად გაზრილი დაფარვის არეალი

**40%-ით უფრო სწრაფი!**

Soprano Titanium-ი გთავაზობთ ახალ Quatro 3D ბუნიკს. განსაკუთრებით დიდი ზომის 4სმ² სხივური დამიზნების წერტილით, რომელიც მუშაობს 600 სმ² დაფარვის არეალზე. ეს მოწინავე ტექნოლოგია უზრუნველყოფს გაცილებით მცირე დროში საუკეთესო შედეგების მიღებას. ამასთანავე თქვენ შეძლებთ დღის განმავლობაში საგრძნობლად მეტი პაციენტის მომსახურებას. მნიშვნელოვნად შემცირებული პროცედურის ხანგრძლივობა, დამატებით კომფორტს შეუქმნის პაციენტებსაც.

### ორმაგი შესაერთებელი

**მეტი მოქნილობა, გაუმჯობესებული ერგონომიკა!**

Soprano Titanium წარმოადგენს პირველ ვერსიას Soprano-ს ხაზის ლაზერული ეპილაციის დანადგარებში, რომელიც აღჭურვილია ორი კონექტორით. ეს საშუალებას გაძლევთ ერთდროულად შეაერთოთ ორი სხვადასხვა ბუნიკი, რაც უზრუნველყოფს მეტ მოქნილობას სამუშაო პროცესში, ვინაიდან თქვენ არ დახარჯავთ დამატებით დროს ბუნიკების გადაერთებისას.






## ICEplus™

### უწყვეტი კონტაქტური გაგრილება

ICE Plus არის თანამედროვე, მოწინავე ტექნოლოგია, რომელიც უწყვეტ რეჟიმში აგრილებს კანს და უზრუნველყოფს ტემპერატურის კონტროლს მთელი პროცედურის მანძილზე. ცივი საფირის ზედაპირი ამცირებს ეპიდერმული დაზიანების რისკებს, შესაბამისი სითბური ეფექტის შენარჩუნებით სამიზნე ქსოვილებზე. ტემპერატურა კონტროლდება და მუშაობს უწყვეტ რეჟიმში, რაც საგრძნობლად აუმჯობესებს პროცედურის შედეგიანობას. პაციენტებს, ახლა უკვე შეუძლიათ ისარგებლონ სრულიად უმტკივნეულო, სწრაფი და კომფორტული მკურნალობის სეანსით მთელი პროცედურის მანძილზე.

## 15’ ანდროიდის ეკრანი

### ერგონომიული და ფუნქციური

Soprano Titanium-ი წარმოდგენილია ახალი, თანამედროვე 15 ინჩიანი ანდროიდ ეკრანით. მომხმარებელზე მაქსიმალურად მორგებული პროგრამა, პარამეტრების წინასწარი დაყენების ფუნქციით, საგრძნობლად გაგიმარტივებთ სამუშაო პროცესს.



# Smart Clinic

## მართე შენი კლინიკა ეფექტურად!

## მაქსიმალურად გაზრდილი შესაძლებლობები

„Smart Clinic“ არის პირველი, Cloud სისტემაზე დაფუძნებული ბიზნესის განვითარების ხელსაწყო, რომელიც გთავაზობთ უწყვეტ წვდომას მონაცემებთან აპლიკაციის და ონლაინ პლატფორმის საშუალებით. ის უზრუნველყოფს მართვის უკეთეს პირობებს - პლატფორმის, აპლიკატორების და პროდუქტიულობის სტატუსის რეალურ დროში მარტივად და ჰარმონიულად ასახვის გზით. იგი საშუალებას გაძლევთ წვდომა გქონდეთ მონაცემებთან და მოაწესრიგოთ ისინი დროის დაკარგვის გარეშე. „Smart Clinic“ უზრუნველყოფს მონაცემების ოპტიმიზაციას და სტანდარტიზაციას, რეალურ მონაცემებზე და სტატისტიკაზე დაყრდნობით. ის, ასევე, ხელს უწყობს მარკეტინგულ გათვლებს საქმიანობის დაწყების, ახალი პროდუქტების, ღონისძიებებზე მოწვევის და სხვა ქმედებების შესახებ შეტყობინებების გაგზავნის გზით.





# არასდროს ჩამორჩე პროგრესს!

„Smart Clinic" არის კომპლექსური გადაწყვეტილება, რომელიც ასახავს თქვენი ბიზნესის სრულ სურათს, იქნება ეს ერთი ცალკეული კლინიკა თუ კლინიკების ქსელი.

**პლატფორმები და აპლიკატორები |** საშუალებას გაძლევთ, კონკრეტულ დროის მონაკვეთში ნახოთ იმპულსების რაოდენობა, პროცედურის დრო, დამუშავებული ადგილები, სპეციალისტის მიერ გამოყენებული პლატფორმების და აპლიკატორების რაოდენობა. ეს მონაცემი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა თქვენი კლინიკის აღჭურვილობის მიმდინარე მოდიფიკაციებისთვის და სამუშაო სტატისტიკის შესაგროვებლად (პლატფორმის, აპლიკატორის და კლინიკის მიხედვით). ის აკონტროლებს სპეციალისტის საქმიანობას და აუმჯობესებს ადამიანური რესურსების მართვას.

**პროცედურის მართვა |** თვალყური ადევნეთ პაციენტის მიერ ჩატარებულ პროცედურას ინდივიდუალურად, მათ შორის, დამუშავებულ ადგილებს, ოქმებს და ვიზიტის თარიღებს. გაუწიეთ მონიტორინგი პაციენტების ისტორიებს, მათ მოთხოვნებს და დაუკავშირდით მათ, როცა შემდგომი პროცედურის თარიღი ახლოვდება. გააუმჯობესეთ კლიენტების მხარდაჭერა და მათთან ურთიერთკავშირი, გააძლიერეთ კლინიკის შედეგები, კლიენტების ჩართულობა და გამოცდილება. „Smart Clinic"-ს კლინიკური ოქმები გამოაქვს ეკრანზე, რომლის წყალობით, წერილობითი ოქმების მართვა წარსულს ჩაბარდა.

**მხარდაჭერა და სერვისი |** „Smart Clinic" საშუალებას გაძლევთ გააქტიუროთ ტექნიკური მომსახურება აპლიკაციის საშუალებით, რომელიც აგზავნის დაზიანების შესახებ ანგარიშს წარმოქმნილი პრობლემების გადასაწყვეტად. ის საშუალებას გაძლევთ თვალი ადევნოთ ჩატარებულ პროცედურებს და შეამოწმოთ სტატისტიკა თითოეულ მოწყობილობაზე, მათი ჭარბი ან შეზღუდული გამოყენების პრევენციის მიზნით. „Smart Clinic"- ის გამოყენებით, თქვენ შეგიძლიათ თავიდან აიცილოთ შეფერხება მუშაობის პროცესში, მართოთ თქვენი რესურსები უფრო ეფექტურად და გაზარდოთ პროდუქტიულობა.



# სინერგიული ტექნოლოგიები
# საუკეთესო შედეგის მისაღებად!

**SHR™ მეთოდი**

ენერგიის ეტაპობრივი გადაცემა კანქვეშ!

SHR™ (Super Hair Removal) - ეს არის მსოფლიო ბრენდ ALMA-ს ექსკლუზიური, დაპატენტებული ტექნოლოგია. აღნიშნული მეთოდი ფართოდ ცნობილია ბაზარზე, როგორც ყველაზე სწრაფი, ეფექტური და უმტკივნეულო ლაზერული ეპილაციის მეთოდი.

SHR™ მუშაობის პრინციპი დაფუძნებულია კანქვეშ სითბოს თანდათანობით გადაცემაზე, იმ დონემდე სანამ ტემპერატურა ეფექტურად არ დააზიანებს თმის ფოლიკულას და ხელს შეუშლის მის ხელახალ ზრდას. ამასთან ერთად, აღნიშნული მეთოდი არის ერთადერთი გამოსავალი გარემომცველი ქსოვილების დაზიანების თავიდან ასაცილებლად. მოკლე იმპულსების მაღალი სიხშირით გამოტყორცნა, უზრუნველყოფს სხივის მაღალ შეღწევადობას კანქვეშ, მაღალი თანაბარი სიმძლავრის მიღებას და სითბოს ყველაზე ეფექტურ აკუმულირებას კანქვეშ.

## 3D
## ტექნოლოგია

კლინიკურად
დამტკიცებული

Soprano Titanium აერთიანებს სამ ყველაზე ეფექტურ ლაზერულ სხივს (ალექსანდრიტი| დიოდი|ნეოდიუმი) ერთ უნივერსალურ ბუნიკში, თმის მოშორების პრინციპი დაფუძნებულია თმის ანატომიის მაქსიმალური გათვალისწინებით. მოცემული 3 მძლავრი ლაზერული სხივი ერთდროულად ზემოქმედებს თმის ფოლიკულაზე, შუა წანაზარდსა და ფოლიკულის დვრილზე. ამის შედეგად პროცედურის შედეგიანობა საგრძნობლად მატულობს.

ამასთან ერთად რევოლუციური სამუშაო პროტოკოლის SHR In-Motion™ და ეფექტური ICEPlus™ გაგრილების სისტემის წყალობით, პროცედურა არის მეტად უსაფრთხო და კომფორტული.




## ALEX 755ნმ

ალექსანდრიტის ლაზერი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ლაზერული ეპილაციის მეთოდია, მისი ტალღის სიგრძე 755 ნანომეტრია.

ალექსანდრისტის ლაზერისთვის აბსორბმენტი (ენერგიის მიმღები) არის პიგმენტი მელანინი და სისხლის უჯრედები (ერითროციტები)

ალექსანდრიტის ლაზერის თმის ღერზე მოქმედების პრინციპი შემდეგია - ალექსანდრიტის ლაზერის მიერ გენერირებული სხივი შთაინთქმება, თმის ღერში არსებული პიგმენტ მელანინის მიერ და შლის მას.  სხივის ზემოქმედებისას არ უნდა მოხდეს კანის თერმული დაზიანება, რადგან პიგმენტ მელანინს კანიც შეიცავს. ამასთან, რაც უფრო მუქი ფერისაა კანი, მით მეტია მასში მელანისის შემცველობა და საჭიროებს უფრო დამზოგავი ენერგიით მუშაობას.  უსაფრთხო მუშაობას ხელს უწყობს გაგრილების სისტემა, მანიპულის შემხები ზედაპირი აუცილებლად დაფარული უნდა იყოს საფირის მინერალით(რომელსაც სითბოს შთანთქმის საშუალება აქვს) და იყინებოდეს 3-5 გრადუსამდე. სწორედ ამ გაგრილების სიტემის დამსახურებაა ის რომ, მუშაობის პროცესში კანის ტემპერატურა ადის მაქსიმუმ 20-25 გრადუსამდე, შესაბამისად პაციენტებს არანაირი დისკომფორტი არ აღენიშნებათ.

ნებისმიერი სხვა ფირმის ალექსანდრიტის გამოყენება ყოვლად დაუშვებელია გარუჯულ ან მუქი ფერის კანზე, რადგან არსებობს დამწვრობის, ჰიპერ და ჰიპოპიგმენტაციების ან სხვა გვერდითი ეფექტების განვითარების რისკი. რაც შეეხება ALMA-ს ექსკლუზიურ SHR In Motion™ ტექნოლოგიას, ეს არის ერთადერთი მეთოდი მსოფლიო ბაზარზე, რომელიც გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ალექსანდრიტის ლაზერით ვიმუშაოთ ყველა ტიპის კანზე ისე, რომ პაციენტმა არ მიიღოს დამწვრობა და პროცედურის დროს არ აღენიშნებოდეს დისკომფორტი.

## SPEED 810ნმ

ბოლო წლებში დიოდის ლაზერული ეპილაციის აპარატებმა დაიკავეს მოწინავე პოზიციები მსოფლიო დერმატო-კოსმეტოლოგიის ბაზარზე. დიოდის ლაზერის ტალღის სიგრძე არის 810 ნმ.

დიოდის ლაზერისთვის ერთადერთი აბსორბმენტი არის პიგმენტი.

ამ სხივის ენერგია შთაინთქმება თმის ღერის მიერ, ხოლო ფოლიკულში ჩაღწევისას, ფოლიკულის სტრუქტურა ირღვევა და რამოდენიმე ხნის შემდეგ თმა ცვივა. გასათვალისწინებელია, რომ ლაზერის ზემოქმედება ვრცელდება მხოლოდ აქტიურ, მზარდი (ანაგენის ფაზა) თმის ღერის ფოლიკულებზე, რომელთა რაოდენობაც სხეულზე დაახლოებით 30%-მდეა.

დიოდის ლაზერისთვის იდეალური სამიზნეა მუქი პიგმენტირებული თმა.

## YAG 1064ნმ

ნეოდიუმის ლაზერის (Nd:Yag) ტალღის სიგრძეა 1064 ნმ.

მისთვის აბსორბმენტი არის წყლის მოლეკულა, შესაბამისად ხდება ლაზერული სხივის სიღრმისეული შეღწევადობა.

მოქმედების მექანიზმიც რადიკალურად განსხვავებულია: სხივი მოქმედებს თმის ბოლქვის მკვებავ კაპილარზე და იწვევს მის დახურვას, სკლეროზს, თმის ძირი კვდება და ცილდება კანს.

ნეოდიუმის სხივი კანის ყველაზე ღრმა ფენებამდე აღწევს. ეს მნიშვნელოვანია, რადგან  უხეში თმის ბოლქვი ხშირად სწორედ ამ სიღრმეშია განლაგებული (4მმ 5მმ სიღრმემდე), ამიტომ მხოლოდ ამ ტიპის ლაზერს შეუძლია მსავსი ტიპის თმისგან განთავისუფლება.

ნეოდიუმის ლაზერის გამოყენება რეკომენდირებულია მუქი - კავკასიური ტიპის კანის, ასევე გარუჯული კანის შემთხვევაში, რადგან იგი არ მოქმედებს მელანინზე და არ გამოიწვევს დამწვრობას.

მისი საშუალებით შესაძლებელია ქერა და უპიგმენტო თმის  მოშორება: რადგანაც მას არ ესაჭიროება თმაში მელანინის არსებობა.

არ იწვევს დამწვრობას, რადგან შეღწევადობა სხვა ლაზერებისგან განსხვავებით შედარებით დაბალია.

# Titanium-ის ბუნიკები




4Quattro

## 3D და 40%-ით უფრო სწრაფი!

ALMA-ს ახალი, ექსკლუზიური ბუნიკი უდაოდ ღირებული აქტივია ნებისმიერი კლინიკისთვის. განსაკუთრებულად დიდი ზომის 4სმ² თავაკი, ინტეგრირებულია ინოვაციურ სამ სხივოვან ტექნოლოგიასთან. ამასთან, ALMA-ს ყველა ის აუცილებელი სტანდარტი, უსაფრთხოების, უმტკივნეულობის და მაღალი შედეგიანობის გათვალისწინებით შენარჩუნებულია! Quatro-ს საშუალებით ლაზერული ეპილაცია გახდა გაცილებით სწრაფი, მეტად ეფექტური და კომფორტული როგორც სპეციალისტისთვის ასევე პაციენტებისთვისაც!



## TRIO - სამი სხივის კომბინაცია

შედარებით მომცრო ზომის თავაკი, 2სმ² დაფარვის არეალით, უზრუნველყოფს საუკეთესო შედეგების მიღებას სხვადასხვა კლინიკურ შემთხვევაში. ის ერთდროულად მოქმედებს სხვადასხვა ქსოვილების დონეზე და ეფექტურად აზიანებს თმის ანატომიურ სტრუქტურებს.





### SPEED™ - 810ნმ

ჩაატარეთ მეტი პროცედურა ნაკლებ დროში. ბუნიკი 2სმ$^2$ სამუშაო პირით უზრუნველყოფს სწრაფი და ეფექტური მანიპულაციის შესრულებას.



### ALEX™ - 755ნმ

ინოვაციური ალექსანდრიტის ტექნოლოგია. ენერგიის უკეთესი აბსორბცია მელანინის ქრომოფორების მიერ, უზრუნველყოფს უკეთესი შედეგების მიღებას განსაკუთრებით ღია ფერის და თხელ თმაზე!



### COMPACT™ - 810ნმ

ერგონომიული დიზაინის მქონე კომპაქტური ბუნიკი. იდეალურად მოერგება უმეტეს კლინიკურ შემთხვევას.



### სახის თავაკი

უკეთესი წვდომა რთულად მისადგომ არეებში. უნიკალური სახის პირი გამოიყენება მცირე ზონების დასამუშავებლად: წარბებს შორისი მიდამო, ყურები, ნესტოები და ა.შ



### YAG - 1064ნმ

ბუნიკი განკუთვნილია განსაკუთრებით მუქი კანის ტიპისთვის. აღნიშნული ტექნოლოგია ხასიათდება მცირე შეღწევადობით მელანინის ქრომოფორების მიერ. ეს კი უზრუნველოფს უსაფრთხო და უმტკივნეულო პროცედრის ჩატარებას მუქი კანის მქონე პაციენტებში.



### ჰიგიენური ერთჯერადი თავაკი

უნიკალური დიზაინის თავაკი ძირითადად გამოიყენება ინტიმური არეების დასამუშავებლად.

## Titanium-ის უპირატესობები

- ფართო 4სმ² ზომის თავაკი უზრუნველყოფს პროცედურის სწრაფ ჩატარებას
- ICEPlus™ - ინოვაციური უწყვეტი გაგრილების სისტემა
- ორი შესაერთებელი - გაგიმარტივებთ სამუშაო პროცესს
- Smart Clinic - მონაცემთა უნიკალური ბაზა
- კლინიკურად და მეცნიერულად დამტკიცებული 3D ტექნოლოგია
- ინტუიციური, მომხმარებელზე მაქსიმალურად მორგებული 15'-იან ანდროიდ ეკრანი, წინასწარ განსაზღვრული პარამეტრებით
- განკუთვნილია I-VI კანის ტიპებისთვის, ასევე გარუჯული კანისათვის
- ხარჯვითი ნაწილის არ არსებობა



"

უაღრესად მოხარული ვარ იმ შედეგებით, რომელთა მიღწევაც შემიძლია „Soprano Titanium-ის“ საშუალებით.
მაღალეფექტურობის და უსაფრთხოების გარდა, რაც პროცედურის უმთავრეს კომპონენტს წარმოადგენს, მას აქვს დამატებითი დადებითი მახასიათებლები, როგორიცაა „Smart Clinic“ მონაცემთა ბაზა და უნიკალური „Quattro“ ბუნიკი, რომელიც ბაზარზე წარმოდგენილ ყველა სხვა სისტემასთან შედარებით – საუკეთესოა.

"

დოქტორი პაბლო ნარანხო, მედიცინის დოქტრი, MD, PhD
Elite Laser Clinic & Laser Unit at NISA Hospital,
მადრიდი, ესპანეთი

SANSO®
SYNERGY OF INNOVATION, QUALITY & SUPPORT!

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო,

მოხარულები ვართ წარმოგიდგინოთ კომპანია SANSO, მსოფლიო ბრენდ ALMA-ს ექსკლუზიური წარმომადგენელი საქართველოში. SANSO გახლავთ - საქართველოს ესთეტიკური მედიცინის ბაზრის აბსოლუტური ლიდერი. მსოფლიო ბიზნეს ორგანიზაციის ICC-ის წევრი. 2013-2018 წლებში ჩვენი კომპანია ALMA-ს მიერ დასახელდა საუკეთესოდ ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის, შემდეგ ნომინაციებში - საუკეთესო გაყიდვების მაჩვენებელი, საუკეთესო მარკეტინგული აქტივობები!

„თუ თქვენ ეძებთ საუკეთესოს, მაშინ SANSO არის ერთადერთი არჩევანი“

ALMA წარმოადგენს ესთეტიკური, სამედიცინო და ქირურგიული დანადგარების მწარმოებელ მსოფლიო წამყვან ბრენდს. ჩვენი პროდუქცია მოიცავს - ლაზერულ, ფოტო, რადიოსიხშირის და ულტრაბგერით დანადგარებს.

ALMA-ს მიზანია საუკეთესო ხარისხის, ინოვაციური, სრულფასოვანი, მრავალფუნქციური და მაღალი წარმადობის მქონე დანადგარების შექმნა, რომელიც საშუალებას მოგცემთ შესთავაზოთ მომხმარებელს უსაფრთხო, სწრაფი, ეფექტური სერვისი და რაც ყველაზე მთავარია გახადოთ თქვენი ბიზნესი მეტად რენტაბელური.

SANSO გთავაზობთ:

- ინოვაციურ და ექსკლუზიურ, დაპატენტებულ ტექნოლოგიებს ALMA-სგან. დამტკიცებული CE, ISO, FDA სერტიფიკატებით და მრავალი კლინიკური და სამეცნიერო პუბლიკაციებით;

- ფასის და ხარისხის საუკეთესო კომბინაციას;

- სრულყოფილ ტექნიკურ მხარდაჭერას - სერტიფიცირებული ტექნიკოსთა ჯგუფი გაგიწევთ კვალიფიციურ სერვისს, როგორც საგარანტიო ასევე პოსტგარანტიულ პერიოდში;

- სრულ ფინანსურ მხარდაჭერას - ჩვენ წარმატებით გიშუამდგომლებთ სხვადასხვა საფინანსო ორგანიზაციებთან - ლიზინგი/ბანკი. ასევე გარკვეულ ჯგუფს საშუალება გექნებათ ისარგებლოთ ინოვაციური გადახდის მექანიზმით - SANSO Lease PRO;

- SANSO M&M - ჩვენი გუნდი გაგიწევთ კონსულტაციებს მენეჯმენტისა და მარკეტინგის კუთხით

- SANSO Guides - ბიზნეს გაიდლაინები ქართულ ენაზე - რა უნდა გააკეთოთ იმისათვის, რომ მიაღწიოთ წარმატებას საქართველოს ესთეტიკურ ბაზარზე;

- SANSO School - ჩვენ ვუზრუნველყოფთ თქვენი პერსონალის კვალიფიციურ და პროფესიონალურ გადამზადებას თითოეულ დანადგარზე;

- მაღალ კვალიფიციური მენეჯერები დაგეხმარებიან სწორი არჩევანის გაკეთებაში;

ჩვენ გარწმუნებთ, რომ SANSO არის საუკეთესო გადაწყვეტილება თქვენი წარმატებისთბის!

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით

ტელ: 2 47 11 14
მობ: 579 29 22 29
ელ. ფოსტა: info@sanso.ge

SANSO+

SANSO M&M SANSO School SANSO Guides

# SANSO Start-Up Pro

## გსურთ დაიწყოთ ბიზნესი ესთეტიკის სფეროში? მაშინ ერთადერთი ადგილი სადაც შეგიძლიათ მიიღოთ პროფესიონალური კონსულტაცია, გახლავთ კომპანია SANSO:

ჩვენ დაგეხმარებით:

- შესაბამისი ფართის მოძიებაში;

- ბიზნესის სწორად დაგეგმარებაში - ჩვენ თქვენთვის შევადგენთ პროფესიონალურ ბიზნეს გეგმას;

- შემოგთავაზებთ საუკეთესო ფინანსურ მოდელს აპარატის შესაძენად;

- მოგაწვდით უნივერსალურ გაიდლაინებს ქართულ ენაზე - თუ როგორ უნდა მიაღწიოთ წარმატებას ესთეტიკა-კოსმეტოლოგიის ბაზარზე საქართველოში;

- განვახორციელებთ სპეციალისტების მაღალკვალიფიციურ გადამზადებას - რის შემდეგადაც გაიცემა საერთაშორისო სერთიფიკატი;

კომპანია SANSO-ს მაღალკვალიფიციური გუნდი, გაგიწევთ პროფესიონალურ კონსულტაციებს!




Soprano Titanium
Alma
For You. For Life.
ახალი ხედვა ლაზერულ ეპილაციაში!
მსოფლიო ბრენდ ALMA-ს ექსკლუზიური წარმომადგენელი საქართველოში,
კომპანია SANSO
მისამართი: თბილისი, ბოჭორმის ქ. 18, 21-ე სართული
ტელ: 2 47 11 14
მობ: 579 29 22 29
ელ.ფოსტა: info@sanso.ge
www.sanso.ge
www.sopranotitanium.ge
www.sopranoplatinum.ge
You Tube